დანართი 2

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის
უნივერსიტეტი

<u>დამტკიცებულია:</u>

<u>19/12/2023 წელი</u>

სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის დებულება

თბილისი
2023

მუხლი 1 ზოგადი დებულებანი

1.1 საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელსეწყობის ცენტრი (შემდგომში - ცენტრი) არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული.

1.2 ცენტრი ფუნქციონირებს უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კავშირში და თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულებისა და წინამდებარე დებულების საფუძველზე.

1.3 ცენტრი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და აკადემიური საბჭოს წინაშე, ასრულებს კანონის საფუძველზე რექტორისა და აკადემიური საბჭოს მიერ დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 2. სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის მიზანი, ამოცანები და ფუნქციები

2.1 სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელსეწყობის ცენტრის მიზანია:

ა) განახორციელოს კურსდამთავრებულთა ინტელექტუალური რესურსის, როგორც უნიშვნელოვანესი აქტივის გამოყენება;

ბ) ხელი შეუწყოს სტუდენტთა დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და განვითარებას;

გ) ხელი შეუწყოს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შრომის ბაზარზე თვითდამკვიდრებაში;

2.2 სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის ამოცანაა:

ა) შეუნარჩუნოს და დაუმკვიდროს უნივერსიტეტს საგანმანათლებლო ბაზარზე მაღალხარისხიანი განათლების შემთავაზებელი დაწესებულების სტატუსი, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტთა კარიერულ ზრდასა და განვითარებაზე;

ბ) მოახდინოს სტუდენტების ინფორმირებულობა შრომის ბაზრის დინამიკის, მისი მიმდინარე მოთხოვნებისა და მოსალოდნელი პროგნოზების თაობაზე;

გ) შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე აღმოუჩინოს დახმარება სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს პროფესიული კუთხით საკუთარი განათლების და კარიერის სწორად დაგეგმვაში;

დ) დაადგინოს, რამდენად ეფექტურად იყენებენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები უნივერსიტეტის მიერ მიწოდებულ ცოდნას, რამდენად ხარისხიანი და გამოსადეგი აღმოჩნდა მათ მიერ მიღებული განათლება.

2.3 სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის ფუქნციაა:

ა) შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტირებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით მოახდინოს რეგულარული ტრენინგების შეთავაზება სტუდენტებისთვის;

ბ) სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფის მიზნით კონკრეტული თემატური ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
გ) დამსაქმებელთა და კონკრეტული დარგის ექსპერტების ჩართულობის უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში;
დ) დასაქმების ინტერნეტსაიტებზე გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი მოთხოვნადი სპეციალობებისა და კვალიფიკაციების დადგენის მიზნით;
ე) შრომის ბაზრის კვლევის მიზნით სტუდენტებისა და დამსაქმებლების პერიოდული ანკეტირება-გამოკითხვა სხვადასხვა სპეციალობების ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნა-მიწოდების დადგენის მინიზით;
ვ) შრომის ბაზრისა და დასაქმების პრობლემების კვლევების განმახორციელებელ სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა ინფორმაციის გაცვლის და თემატურად რელევანტურ ღონისძიებებში ერთობლივი მონაწილეობის მიღების უზრუნევლსაყოფად;
ზ) თეორიული სწავლებისა და პრაქტიკული კომპონენტის შერწყმით სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შრომის ბაზართან დაახლოების ხელშეწყობა;
თ) გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის, ცოდნის ეკონომიკის ფორმირების, ცოდნის გაზიარების, ახალი იდეეების გენერირების, ხორცშესხმისა და ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტების ბაზაზე სტრატაპების, ინკუბატორების და პრე-აქსელატორების შექმნა;
ი) შეზრუდული შესაძლებლობების და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების, ასევე სხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, დევნილი ოჯახები და სხვ.) დასაქმების ხელშეწყობის მიზნით მათი აღრიცხვა და პრესონალიზებული მიდგომების შემუშავება დამსაქმებელთან;
კ) უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებს შორის კავშირურთიერთობის უზრუნველყოფა, მათ შესახებ საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და სისტემატიზაცია;
ლ) უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მუდმივად ინფორმირება შრომის ბაზარზე არსებული ვაკანსიების შესახებ მათი პროფესიული ცოდნის შესაბამისად დასაქმების მიზნით;
მ) ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება საქართველოში მოქმედ სახელმწიფო დაწესებულებებთან, კერძო კომპანიებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ოერგანიზაციებთან;
ნ) სტუდენტების სტაჟირებისა და დასაქმების მიზნით სახელმწიფო დაწესებულებებთან, ადგილობრივ თვითმმართველობის ერთეულებთან, კერძო სექტორში ფუნქციონირებად კომპანიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კავშირის დამყარება;
ო) დასაქმების ფორუმის პერიოდულად ორგანიზება/მონაწილეობის მიღება და სხვ.;

პ) უნივერსიტეტის სტუდენტთ პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით;
ჟ) კურსდამთავრებულთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვის იდეის პოპულარიზაცია და უნივერსიტეტის იმიჯის ამაღლების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება;
რ) კურსდამთავრებულთა თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით მათთვის სპეციალური პროგრამული/პროფესიული გადამზადების კურსების შეთანაზება;
ს) მოკლევადიანი, ალტერნატიული, მოქნილი და მრავალფეროვანი პროგრამების შემუშავება და დანარგვა;
ტ) უნივერსიტეტის სტუდენტების წარმატებების მიღწევისთვის საჭირო პირობების შექმნა როგორც უნივერსიტეტში სწავლისას, ისე დამთავრების შემდეგ კარიერული წინსლვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

3.1 უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და კურსდამათავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის ცენტრისთვის განსაზღვრული თანამდებობებია: ცენტრის უფროსი და მთავარი სპეციალისტი;
3.2 ცენტრის უფროსს და მთავარ სპეციალისტს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3.3 ცენტრის უფროსი ანგარიშვალდებულია რექტორისა და აკადემიური საბჭოს წინაშე.

3.4 ცენტრის უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ცენტრის საქმიანობას;
ბ) ახდენს წლის მანძილზე ჩასატარებელი ღონისძიებების კალენდრის შედგენას;
გ) შეიმუშავებს ცენტრის სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებს;
დ) შეიმუშავებს ცენტრის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და სახავს მათი განხორციელების კონკრეტულ ღონისძიებებს;
ე) გეგმავს და ორგანიზებას უწევს დასაქმების ფორუმს;
ვ) რეგულარულად აწყობს დამსაქმებელებთან მიზნობრივ შეხვედრებს;
ზ) ავრცელებს ინფორმაციას დამსაქმებლის მიერ მოწოდებული ვაკანტური ადგილების შესახებ და შესაბამისად უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ინფორმირებულობას;
თ) რეგულარულად აანალიზებს შრომის ბაზრის დინამიკას და მონიტორინგს უწევს არსებულ ვაკანსიებს;
ი) სტარტაპების, ინკუბატორების და პრე-აქსელატორების შექმნის მიზნით აწარმოებს დონორებისა და პარტნიორი ორგანიზაციების მოზიდვას;
3.5 მთავარი სპეციალისტი:
ა) ეხმარება ცენტრის უფროსს სამსახურის ამოცანების შესრულებასა და მისი ფუნქციებით გათვალისიწნებული საქმიანობის განხორციელებაში;

ბ) უზურველყოფს ინფორმაციის მოპოვებას სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესახებ;

გ) უზრუნველყოფს ინფორმაციის მოპოვებას უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ;

დ) ხელს უწყობს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებების ტრენინგების ჩატარებას;

ე) კონსულტაციებს უწევს სტუდენტებს პროფესიული ორიენტაციისა და დასაქმების საკითხებზე;

ვ) ქმნის დამსაქმებელთა ერთიან მონაცემთა ბაზას დეტალური საკონტაქტო ინფორმაციით;

ზ) სტუდენტის თანხმობით და პერსონალურ მონაცემთა დაცვით უზრუნველყოფს სტუდენტის მონაცემების გადაგზავნას კონკრეტულ ვაკანსიებზე, ასევე მათთვის სტაჟირებისა თუ დასაქმების სხვა შესაძლებლობების მოძიებას;

თ) ახორციელებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ანკეტური გამოკითხვებისა და ინტერვიუების ორგანიზებას და მათ ანალიზს;

ი) ახორციელებს კურსდამთავარებულთა დასაქმებისა და კმაყოფილების დონის კვლევას.

მუხლი 4 ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცი ხორციელდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ცენტრის უფროსის მიერ მომზადებული ცვლილება-დამატებების პროექტით, რომელსაც ამტკიცებს აკადემიური საბჭო.